”დავაჯგუფოთ ცხოველები“

კლასი: 3

თემა: მონაცემთა დახარისხება

მიმართულება: მონაცემთა ანალიზი, ალბათობა და სტატისტიკა

აქტივობის მიზანი: მოსწავლეთა გაწაფვა მონაცემთა ერთობლიობიდან რაიმე ნიშნით ცალკეული მონაცემების გამოყოფასა და ცხრილის სახით ორგანიზებაში მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.

კლასის ორგანიზების ფორმა: ჰომოგენური ჯგუფები

აქტივობის აღწერა: მასწავლებელი მოსწავლეებს ჰყოფს ჰომოგენურ ჯგუფებად. თითოეულ ჯგუფს მასწავლებელი აძლევს შესაბამის დავალებას და ინსტრუქციას. მუშაობის პროცესში მასწავლებელი დადის ჯგუფებს შორის და ამოწმებს მათ მიერ შესრულებულ დავალებებს. საჭიროების შემთხვევაში, ეხმარება გეზის მიმცემი კითხვებით.

ჰომოგენურ ჯგუფებად დაყოფა:

I **შრე (ნაკლები მზაობის მოსწავლეები)** – მოსწავლეები, რომელთაც უჭირთ ცხრილებზე მუშაობა ან/და ცხრილების შევსება, მონაცემთა ერთობლიობისთვის საერთო ნიშნის, სახელის შერჩევა.

II **შრე (საშუალო მზაობის მოსწავლეები)** – მოსწავლეები, რომლებიც მუშაობენ ცხრილებზე და ავსებენ ცხრილებს, მაგრამ პრობლემები აქვთ მონაცემთა ერთობლიობისთვის საერთო ნიშნის, სახელის შერჩევაში.

III **შრე (მაღალი მზაობის მოსწავლეები)** – მოსწავლეები, რომლებიც კარგად მუშაობენ ცხრილებზე და ადვილად ავსებენ ცხრილებს, პრობლემები არ აქვთ მონაცემთა ერთობლიობისთვის საერთო ნიშნის, სახელის შერჩევაში.

I შრე (ნაკლები მზაობის მოსწავლეები):

მასწავლებელი აძლევს ფლიპჩარტის ფურცელზე დახაზულ ცხრილს (ცხრილი №1):

ფრინველები	ძუძუმწოვრები	მწერები

ცხრილი №1

შემდეგ აძლევს კონვერტს, რომელშიც ჩაწყობილია მართკუთხედის ფორმის ფურცლები. მათზე წერია ძუძუმწოვრების, ფრინველებისა და მწერების სახელები შესაბამისი ფოტოებით. მაგალითად, დანართში 1. მოცემული ფოტოები.

მასწავლებელი მათ აძლევს ინსტრუქციას, დააწებონ თითოეული პატარა მართკუთხედი ცხრილის შესაბამის სვეტში და უპასუხონ კითხვებს:

- ✓ რომელ სვეტში აღმოჩნდა ყველაზე მეტი არსება და რამდენია ისინი?
- ✓ რომელში აღმოჩნდა ყველაზე ნაკლები და რამდენია ისინი?
- ✓ რამდენი არსებაა ფრინველების ჯგუფში?

II შრე (საშუალო მზაობის მოსწავლეები):

მასწავლებელი მათ აძლევს ფლიპჩარტის ფურცელზე დახაზულ ცხრილს (ცხრილი №2):

ცხრილი №2

შემდეგ აძლევს კონვერტს, რომელშიც ჩაწყობილია მართკუთხედის ფორმის ფურცლები. მათზე წერია ძუძუმწოვრების, ფრინველებისა და მწერების სახელები შესაბამისი ფოტოებით. მაგალითად, დანართში 1. მოცემული ფოტოები.

ამავე კონვერტში არის სამი მართკუთხა ფურცელი, რომლებზეც აწერია: ძუძუმწოვრები: ფრინველი, ან მწერი და ახატია შესაბამისი სურათი (დანართი 2).

მასწავლებელი მათ აძლევს ინსტრუქციას შეარჩიონ ჯგუფის სახელი დანართი 2.-დან და დააწებონ შესაბამის ადგილზე ცხრილში. დანარჩენი პატარა მართკუთხედებიდან თითოეული დააწებონ ამ სახელწოდების შესაბამის სვეტში და უპასუხონ კითხვებს:

- ✓ რომელ სვეტში აღმოჩნდა ყველაზე მეტი არსება და რამდენი?
- ✓ რომელ სვეტში აღმოჩნდა ყველაზე ნაკლები და რამდენი?
- ✓ რამდენი არსებაა ფრინველების ჯგუფში?

III შრე (მაღალი მზაობის მოსწავლეები):

მასწავლებელი მათ აძლევს ფლიპჩარტის ფურცელზე დახაზულ ცხრილს (ცხრილი №3):

ცხრილი №3

შემდეგ აძლევს კონვერტს, რომელშიც ჩაწყობილია მართკუთხედის ფორმის ფურცლები. მათზე წერია ძუძუმწოვრების, ფრინველებისა და მწერების სახელები შესაბამისი ფოტოებით. მაგალითად, დანართში 1. მოცემული ფოტოები.

მასწავლებელი მათ აძლევს ინსტრუქციას: დააჯგუფონ ბარათები რაიმე ნიშნით, მოიფიქრონ ჯგუფის სახელი და ჩაწერონ ცხრილის პირველ სტრიქონში. მათ მოუწევთ უპასუხონ კითხვას, რა ნიშნით დააჯგუფეს ფოტოები მოცემულ ცხრილში.

დავალების შესრულების შემდეგ ჯგუფები აკეთებენ პრეზენტაციას. პრეზენტაციის შემდეგ მასწავლებელი მთელ კლასს უსვამს შეკითხვებს:

- ✓ რა ნიშნით დავაჯგუფეთ მონაცემები?
- ✓ რატომ შევიყვანეთ ცხენი (ვეფხვი და ა.შ.) ძუძუმწოვრების ჯგუფში?
- ✓ ბატი (წერო და ა. შ.) ფრინველების ჯგუფში?
- ✓ რატომ არ შევიყვანეთ ბუ (თხა...) მწერების ჯგუფში?
- ✓ კიდევ რა არსება შიძლებოდა შეგვეყვანა ცხოველების (ფრინველების, მწერების) ჯგუფში? და ა.შ.

დანართი 1.

არწივი	იხვი	ქათამი	ინდაური
გედი	წერო	ბეღურა	ბუ
თუთიყუში	მერცხალი		

ვეფხვი	მგელი	ძაღლი	ცხენი
ღორი	სპილო	ჟირაფი 	დათვი
თხა	ჯიხვი 	ირემი	მაიმუნი
კატა	მელია	ვირი	კურდღელი

ფუტკარი	ბუზი	ობობა	კალია
ჭიამაია	ნემსიყლაპია	პეპელა	ხოჭო

დანართი 2

ფრინველები	ძუძუმწოვრები	მწერები